



სამოქალაქო საზოგადოების გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოსთვის გამოყოფილი საერთაშორისო დახმარებების პრიორიტეტების მიხედვით განაწილებისა და მათი განჯარგვის გამჭვირვალობის შესახებ

2008 წლის 8-12 აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომის შედეგად ოფიციალური მონაცემებით ათეულობით მშვიდობიანი მოსახლე და ჯარისკაცი დაიღუპა, 30 000 ადამიანი უსახლკაროდ დარჩა, მრავალი საცხოვრებელი სახლი დაინგრა ან დაზიანდა, 900 ჰა-მდე ტყის ფართობი სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში დაიწვა, შავ ზღვასა და რკინიგზაზე აფეთქებების შედეგად დაიღვარა ნავთობი.

საქართველოსთვის დახმარების გასაწევად საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, სავალუტო ფონდი), აგრეთვე ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები მნიშვნელოვანი თანხების გამოყოფას გეგმავენ.

აშშ-სა და ევროკავშირის წინასწარი განცხადებებით, თანხები საგანებო საბიუჯეტო დახმარებას, ქვეყნის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული რეაბილიტაციის ხელშეწყობას და ჰუმანიტარულ დახმარებებს მოხმარდება. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები სხვადასხვა ტიპის კრედიტებს სტრუქტურული რეფორმებისთვის, კონფლიქტის შედეგების სწრაფად აღმოფხვრის, დაზარალებული მოსახლეობის განსაცდელის შემსუბუქებისა და მუნიციპალური და სხვა ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფენ.

ეს თანხები ქვეყნის ომის შედეგად მიღებული ზარალის შემცირებასა და შედეგად განვითარებაში მნიშვნელოვნად დაეხმარება, თუმცა, იმისთვის, რომ თანხები სწორად განაწილდეს, სწორად დაიხარჯოს და სწორი შედეგები მივიღოთ, აუცილებელია, რომ მათ პრიორიტეტებად გადანაწილებისა და განკარგვასთან დაკავშირებული პროცესები საჯაროობისა და მონაწილეობის პრინციპების დაცვით წარიმართოს.

საზოგადოების ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში

უმნიშვნელოვანესია, რომ არსებული საჭიროებებისა და შესაბამისი ხარჯვითი პრიორიტეტების განსაზღვრაში აქტიურად მონაწილეობდნენ დაზარალებული თემები, ადგილობრივი მთავრობა, არასამთავრობოები, ექსპერტები და პროფესიული ჯგუფები. მათ უნდა ჰქონდეთ გადამწყვეტი ხმის უფლება იმასთან დაკავშირებით, თუ რა და რა გზით უნდა დაიგეგმოს და გაკეთდეს. გადაწყვეტილებები, რომლებიც ქართველი ხალხის დღევანდელ და ხვალინდელ დღეზე ახდენს გავლენას, ქართველი ხალხის მონაწილეობითა და მხარდაჭერით უნდა მიიღებოდეს.

დიალოგი დონორებს, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას, დონორი ქვეყნების/ორგანიზაციებისა და ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობის უზრუნველყოფასა და პრიორიტეტების ეფექტურად განსაზღვრას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

რაც უფრო გამჭვირვალე იქნება ეს პროცესი საწყის, პირველადი გადაწყვეტილებების მიღების ეტაპზე, მით უფრო მეტი იქნება იმის გარანტია, რომ შემდგომ ეტაპები ასევე გამჭვირვალედ და გამართულად განხორციელდეს.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

პრიორიტეტებზე დისკუსიის პარალელურად უნდა გაიმართოს მსჯელობა იმის შესახებაც, თუ როგორ უნდა მოხდეს საქართველოსთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების განკარგვის მონიტორინგი. ნებისმიერ ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება, მიიღოს ამომწურავი, დროული და ობიექტური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ:

- რა თანხას გამოუყოფს თითოეული დონორი ქვეყანა/ორგანიზაცია საქართველოს და რაზე უნდა დაიხარჯოს ეს თანხა;
- რა ვადებში უნდა დაიხარჯოს გამოყოფილი თანხები;
- როგორი იქნება მათი განკარგვის წესი (რომელი სახელმწიფო სტრუქტურები იქნებიან ჩართულები ამ პროცესში და რა პასუხისმგებლობა ექნება თითოეულ მათგანს);
- რა მექანიზმებით უზრუნველყოფს ხელისუფლება თანხების სწორად განაწილებასა და ხარჯვას და
- როგორ მოხდება თანხების განაწილებასა და ხარჯვასთან დაკავშირებული ანგარიშგება დონორი ქვეყნების/ორგანიზაციებისა და საზოგადოების მიმართ.

საერთაშორისო კონვენციების დაცვა

მნიშვნელოვანია, რომ დახმარების გაწვევისა და ინვესტიციების განხორციელებისას დონორმა ქვეყნებმა და ორგანიზაციებმა „დახმარების ეფექტურობის შესახებ პარიზის დეკლარაცია“ და „ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიისა“ და „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობაზე და სამართლის ხელმისაწვდომობაზე“ (ორჰუსის კონვენცია) კონვენციები დაიცვან.

დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობა

საქართველოსთვის გამოყოფილმა დახმარება არა მხოლოდ ომის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, არამედ უფრო გრძელვადიან მიზნებს ქვეყნის დემოკრატიული განვითარებასა და მის ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას უნდა შეუწყოს ხელი. საქართველო მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს ძლიერ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, თუ მისი სახელმწიფოებრიობა დემოკრატიულ პრინციპებზე იქნება დამყარებული. ამის მისაღწევად თავისუფალი მედიის, აქტიური არასამთავრობო სექტორის, ადამიანთა უფლებების დაცვის ეფექტური სისტემის, ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობის, დამოუკიდებელი სასამართლოს, პლურალისტური პოლიტიკური სისტემის, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისა და სხვა დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობაა აუცილებელი.

საქართველოსთვის დახმარების გაწევა პირდაპირ კავშირში უნდა იყოს იმასთან თუ რამდენად ასრულებს საქართველო ხელისუფლება ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებისათვის აღებულ ვალდებულებებს.

ჩვენ მაღლობას ვუხდით ყველა დონორს გამოხატული მხარდაჭერისა და ფინანსური დახმარებისთვის და გამოვთქვამთ იმედს, რომ ეს მხარდაჭერა შედეგიანი იქნება საქართველოსთვის და მისი პარტნიორი ქვეყნებისა და ორგანიზაციებისთვის.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
ასოციაცია მწვანე ალტერნატივა
საერთაშორისო გამჭვირვალობა -საქართველო